



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის

შემსრულებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01/54-ო

თბილისი

10 ოქტომბერი 2014 წელი

შპს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა – KAMARA“- ში იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2014 წლის 08 აგვისტოს №01/45-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

“დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33¹ მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2014 წლის 22 სექტემბრის #03/4-მ ბრძანების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შპს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა – KAMARA“-ში (ს/კ 404990435) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2014 წლის 08 აგვისტოს #01/45-ო ბრძანებით განსაზღვრული იძულებითი ადმინისტრაციის ვადა გაგრძელდეს 2015 წლის 12 იანვრის ჩათვლით.
2. აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა – KAMARA“-ს მარეგისტრირებელ ორგანოს და გამოქვეყნდეს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.
3. აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



ოსებ გოგორაშვილი
სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი